ბრძანება:**ბ134. 134240373**
თარიღი:**06/02/2024**

მესტიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“, „ე.ვ“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებში პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ

1. **2024 წლის სოფლის მხარდაჭერის** სახელმწიფო პროგრამის განხორციელების (საპროექტო წინადადებების მიღება, საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში კონსულტირება, მოსახლეობასთან ურთიერთობა და მათი ინფორმირება, შერჩეული პროექტების განხორციელების და შესრულების პროცესის მონიტორინგი) მიზნით **შეიქმნას სამუშაო ჯგუფი** შემდეგი შემადგენლობით:

N	სახელი, გვარი	თანამდებობა, პოზიცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ფუნქცია-მოვალეობა
1	**ირაკლი ქურდიანი**	მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	599855560	პროექტის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან
2	**მაიზერ ჯაფარიძე**	მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	599855540	საკრებულოს წევრების ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში
3	**ბესარიონ გულედანი**	მესტიის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს	591053585	მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი

		თავმჯდომარე		ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში
4	**ქეთევან ხარძიანი**	I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	591059238	ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და დასახლების საერთო კრებების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით
5	**თეიმურაზ ნავერიანი**	I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო სამსახურის უფროსი	599855551	პროცესის წარმართვისთვის საჭირო თანხების მობილიზების შესახებ წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა
6	**ლალი გულედანი**	I რანგის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი	599106441	საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება
7	**ლამარა მჭედლიანი**	ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი	599721216 lanamchedliani@gmail.com	დასახლების საერთო კრების სხდომის მდივანი (სხდომის ოქმის წარმოება, მიღებული შენიშვნების ან/და განსხვავებული აზრის დაფიქსირება და ა. შ.)
8	**ხატია წიკლაური**	ადმინისტრაციული სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	595089530 gamgeobasazogadoeba@gmail.com	მუნიციპალიტეტივებ-გვერდზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელის გვერდის (მაგ.:Facebook გვერდის), ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის
9	**ლანა გვარლიანი**	ადმინისტრაციული სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების უფროსი	577204526	მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, დასახლების საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციები მხარდაჭერა
10	**ირაკლი ჯაჯვანი**	მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დამხმარე სპეციალისტი,	599332775	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფუნქციის შესრულება

		სამშენებლო არქიტექტურულ საკითხებში		
11	**სოსო კვიციანი**	ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი	551095779	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფუნქციის შესრულება
12	**მარიკა არღვლიანი**	ვებ-გვერდის "სვანეთი ნიუსის" ადმინისტრატორი	551815588	„სვანეთი ნიუსის" ვებ გვერდზე სოფლის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში მიმდინარე ყველა პროცესის გაშუქება
13	**ჯემალ გოშთელიანი**	გარემოს დაცვისა და ვეტერინარული ზედამხედველობის საკითხებში დამხმარე სპეციალისტი	599900091	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფუნქციის შესრულება
14	**მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში**			

2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს დაევალოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოაქვეყნოს აღნიშნული ბრძანება მისი გამოცემიდან სამი დღის ვადაში, ასევე „სვანეთი ნიუსის" ადმინისტრატორმა უზრუნველყოს მის ხელთ არსებული საშუალებებით ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელება, ასევე მერის წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში ინფორმაციის გავრცელება, რა დროსაც დაცული უნდა იყოს ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება თანასწორობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით და უზრუნველყოფილ იქნას მათი ჩართულობა;

3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში **საპროექტო წინადადებების ფორმა** (დანართი #1) განთავსდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mestia.gov.ge;

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მატერიალური ფორმით ან/და ზეპირი სახით მიღება დაევალოთ - მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსს (მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი #1; ტელ: +995599721216) და მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში; საპროექტო წინადადებების მიღება ასევე განხორციელდეს ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - lanamchedliani@gmail.com; ან გაიგზავნოს განცხადების სახით მუნიციპალიტეტის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ე.წ. „მოქალაქის პორტალიდან";

5. 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2024 წლის 20 თებერვალი, 18:00 საათი;

6. სამუშო ჯგუფის მუშაობას თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში უზრუნველყოფს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი;

7. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის ფორმად მესტიის მუნიციპალიტეტში განისაზღვროს და მოწვეულ იქნას **დასახლების საერთო კრება;**

8. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მესტიის მუნიციპალიტეტის **16 ადმინისტრაციული ერთეულის** (გარდა დაბა მესტიისა) **დასახლებებში დასახლების საერთო კრებები მოწვეულ** იქნას ამ ბრძანების დანართით (დანართი #2) განსაზღვრულ თარიღებში;

9. დასახლების საერთო კრებების სხდომების **დღის წესრიგი** განისაზღვროს ერთი საკითხით - **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებაში განსახორციელებელი დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა**;

10. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს დანართი #2-ის შესაბამისად.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ქ.ზუგდიდი რევაზ ლაღიძის ქ.N12)

კაპიტონ ჟორჟოლიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი